GOV 1 23 00032410

07/11/2023

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, შემდეგი გარემოების გამო:

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის იანვრიდან ძალაში შედის რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, ბრენდის ეტიკეტზე აღნიშვნა „ქართული ბრენდი“ შესაძლებელი იქნება, თუ ბრენდის საწარმოებლად გამოყენებული სპირტის არანაკლებ 85% საქართველოში მოყვანილი ყურძნისგან იქნება დამზადებული (აღნიშნული ნორმის ამოქმედებამდე ნებადართულია, ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის ეტიკეტზე მიეთითოს აღნიშვნა „ქართული ბრენდი“, თუ ბრენდის არანაკლებ 50% საქართველოში მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული ღვინის დისტილატის გამოყენებითაა წარმოებული).

როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს შორის მევენახეობა-მეღვინეობა ერთმნიშვნელოვნადაა გამოკვეთილი. შესაბამისად, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელია ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, კლიმატური და სტიქიური მოვლენები, ასევე დარგზე მოქმედი ობიექტური გარემოებები, მათ შორის, ლოგისტიკური მომსახურების, ნედლეულის ფასის ზრდა, ზემოაღნიშნულ ასამოქმედებელ ნორმასთან ერთად, კიდევ უფრო მეტად ზრდის საბოლოო პროდუქტის - ბრენდის თვითღირებულებას, რაც საბოლოო შედეგად ამცირებს საერთაშორისო ბაზარზე ქართული ბრენდის მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას. შესაბამისად, საერთაშორისო ბაზარზე ქართული ბრენდის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების ექსპორტის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, აუცილებელია ზემოაღნიშნული ნორმის ამოქმედების გადავადება, რათა ბრენდის

მწარმოებელ კომპანიებს მიეცეთ შესაძლებლობა, მოქმედი წესის შესაბამისად განახორციელონ საქმიანობა.

გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტების ინიციირების საჭიროება გამოიკვეთა მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოში მეღვინეობის სფეროში დასაქმებულ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრის შემდეგ, რომლებმაც ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხების გამო ითხოვეს 2024 წლის იანვრიდან ასამოქმედებელი ნორმის გადავადება. შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ვერ აისახა საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტს წარმოედგინა მიმდინარე წლის 31 აგვისტოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

ოთარ ბეჟანიძე

საქართველოს მთავრობის
საპარლამენტო მდივნის მოადგილე